პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანი

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 სექტემბერი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 40-ე წელი

№ 219 (14519)

ხუთწლეული — ვადამდე!

შრომითი ნოგათეგი

ხაშურის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც წარმატებით შრომობენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 9 თვის გეგმა: ხორცისა — 110,1 პროცენტით, რძისა — 111,1 პროცენტით, კვერცხისა — 126,5 პროცენტით, მატყლისა — 125 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის ვალდებულება. გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 2.800 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 2.963 ტონა კურკოვანი ხილი. („პომუნისტის“ საკ. კორ.).

მოსავლისათვის აქედანვე ვიზრუნოთ

გავაძლიეროთ ხვნა-თესვის, საკვების დამზადების ბრძოლა

შემოდგომა ძალაში შედის. ახლა სოფლად ბევრი გადაუდებელი სამუშაოა. მთიან ზონაში მთავრდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება, მიმდინარეობს პირუტყვისათვის საკვების დამზადება. თელ რიგ რაიონებში გაჩაღდა საშემოდგომო ხვნა-თესვა, იხვნება მზრალი მომავალი წლის გაზაფხულზე სხვადასხვა კულტურების დასათესად.

რესპუბლიკაში ამ შემოდგომაზე გეგმით უნდა დათესოს 201.954 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით უკვე დათესილია 2.936 ჰექტარზე მეტი. საჩხერის რაიონში დათესა 674 ჰექტარი, გორის — 378, ასპინძის — 283, ადიგენის რაიონში — 263 ჰექტარი. თესვას შეუდგნენ დმანისის, თიანეთის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, გურჯაანის, მცხეთის, ოქუმბერის, თეთრი წყაროს რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საშემოდგომო თესვა ძირითადად ოქტომბერში უნდა დამთავრდეს. ახლა დამდგარი ხელსაყრელი ამინდები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა უყურადღება გავამახვილოთ თესვის ხარისხზე. უხვი მოსავლის მისაღებად აუცილებელია დათესოს დარაიონებული ჯიშების მაღალი ხარისხის თესლი, საშემოდგომო თესვისათვის მოხნულია 128.815 ჰექტარი.

თესვის პარალელურად მიმდინარეობს მზრალად ხვნა. გეგმით წელს ამოსახნავია 172.917 ჰექტარი. დღემდე მოხნულია 48.510 ჰექტარი, ამ სამუშაოს კარგახანია შეუდგნენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ბაშურის, ქარელის, გორის, ლასპის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს, გარდაბნის, მარნეულის და სხვა რაიონები.

პირუტყვისათვის დამზადებულია 248.681 ტონა ბუნებრივი და ნათესი ბალახების თივა, ანუ გეგმის 56 პროცენტი, სეზონად უხვში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 45 პროცენტით. გაჩაღებულია წვნიანი საკვების—სილოსის ჩადება. სულ ჩადებულია 181.324 ტონა სასილოსე მასა. აქედან მიღებულია 93.383 ტონა მზა სილოსი. რაც გეგმის 11 პროცენტს შეადგენს. ეს სამუშაო უნდა დაჩქარდეს. საჭიროა დროულად ავიღოთ სასილოსედ დათესილი სიმინდი და შეუფერხებლად გამუშაოთ სილოსის მასის ასაღები კომბაინები, სილოსის საკრელი მანქანები.

სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა და სასოფლო სამეურნეო ორგანოებმა უნდა განახორციელონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საშემოდგომო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას.

ორი მათგანი — ნადირი და გაიღარი აფხაზეთის ქვანახშირის მრეწველობის ცენტრში აზერბაიჯანიდან ან ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ჩამოვიდნენ. მესამე ძმა — ჯაფარი კი სულ ერთი თვეა, რაც მაღაროელად მუშაობს ტყვარჩელში.

№ 2 მაღაროში აფხაზებთან და ქართველებთან, რუსებთან და ოსებთან, უკრაინელებთან და სომხებთან ერთად ჩინებულად შრომობს სამი აზერბაიჯანელი ძმა. თვითეული მათგანი ცვლაში იღებს 10-12 ტონა ქვანახშირს, ნაცვლად 6,5 ტონისა. აუზის რთულ გეოლოგიურ პირობებში ეს შესანიშნავი შედეგია.

• • •

სურათზე: ძმები მაღაროელები — ნადირ, გაიღარ და ჯაფარ ტაგიევები.

ფოტო ი. ჭუბინიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს კინო-საკონცერტო დარბაზის მშენებლობა

წელიწადნახევარი დარჩა ქართველი ხალხის დიდ დღესასწაულამდე — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავამდე. საიუბილეოდ რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები მიიღებენ კიდევ ერთ კარგ საჩუქარს — 2.500-ადგილიან კინო-საკონცერტო დარბაზს. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ კინო-საკონცერტო დარბაზში გაიმართება სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ზეიმი.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ამ დარბაზის მშენებლობას. 19 სექტემბერს მშენებლობა დაათვალიერეს ამხანაგებმა ვ. პ. მჟავანაძემ, პ. ა. როდონოვმა, ბ. ს. ძოწენიძემ, შ. ი. ჭანუყვაძემ, ბ. დ. ჯაფახიშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა. დათვალიერების დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელები ესაუბრნენ მშენებლებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ გამოიკითხა, თუ როგორ სრულდება საპროექტო დავალებანი, როგორ მარაგდება მშენებლობა მასალებით. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ კინო-საკონცერტო დარბაზის პროექტის ავტორი ი. ჩხენკელი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ბ. ზაზაკიძე, თბილისის აღმასკომის უფროსი ბ. შენგელია, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ბ. იაკაშვილი. (საქდესი).

გამოფენა „ლენინი და არმია“

ზოსკოვი. საბჭოთა არმიის ვ. ჯ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში გაიხსნა ვ. ი. ლენინისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი მიძღვნილი წიგნის გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტები მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის შექმნის შესახებ. აქვეა ლენინის ნაწარმოებნი უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შესახებ, წიგნები „ვ. ი. ლენინი და საბჭოთა შეიარაღებული ძალები“, „ვ. ი. ლენინი ომის, არმიისა და სამხედრო მეცნიერების შესახებ“ და სხვ.

გამოფენის ერთ-ერთი განყოფილება ეძღვნება არმიის, ავიაციისა და ფლოტის მეომართა გმირობას სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების წლებში. პოლიტიკური, სამხედრო და მხატვრული ლიტერატურა აშუქებენ, თუ როგორ ასრულებენ ჩვენი სამშობლოს დამცველები ლენინის ანდერძს, როგორ ემზადებიან ბელადის დაბადების 100 წლისთავისათვის. (საკდესის კორ.).

ტყის მუშაკის დღის აღსანიშნავად

19 სექტემბერს თბილისში, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა ტყის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. გელაშვილმა.**

სხდომაზე იყვნენ **შ. კოკნაძე** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. გომელაური.** (საქდესი).

ბჭობენ მეზღვაურები

ბათუმი, 19 სექტემბერი. (საქდესი). საქართველოს საზღვაო სანაოსნოში გაიმართა თათბირი, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა **ვ. ბაკაევმა.** თათბირზე ინფორმაციები გააკეთეს სანაოსნოს უფროსმა **ა. კაჭარავამ,** სანაოსნოს მთავარმა ინჟინერმა **პ. ჯორბენაძემ,** უფროსის მოადგილეებმა **ა. ნაგნიბედამ** და **ე. ჭერესოკაცემ.**

საქართველოს საზღვაო სანაოსნო სოლიდური კომპლექსური სატრანსპორტო ორგანიზაციაა, რომლის სატანკერო ფლოტში 27 ჩასასხმელი გემია. საერთო ტვირთამწეობით იგი უსწრებს ისეთ სანაოსნოებს, როგორიც არის დუნაი, ესტონეთის, კამჩატკისა და სახალინის სანაოსნოები. ახლო მომავალში აქ ტანკერთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება.

ანალიზი გაუკეთდა რა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაობას, ამხ. ვ. ბაკაევმა აღნიშნა, რომ მისი კოლექტივი წარმატებით ასრულებს დასახულ ამოცანებს.

ლენინურ ეკონომიის ვარსკვლავი 100

მეტროპოლიტენის ახალი ნაგიხი

ერთი თვის წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამტკიცა საპროექტო მოცემულობა მეტროპოლიტენის ხაზის მშენებლობისათვის საბურთალოს მიმართულებით. ამ დღეებში კი მშენებლები საქმეს შეუდგნენ, სპორტის სასახლის გვერდით დაიწყეს სამშენებლო მოედნის ათვისება. შემოლობეს ტერიტორია, საფუძველი ჩაუყარეს შხაკომბინატს, აშენებენ საწყობებს სამშენებლო მასალებისათვის, კანტორის მექანიკურ საამქროს.

— მოსამზადებელ სამუშაოებს მომავალი წლის იანვრიდან უნდა შევდგეთ, — აღნიშნა თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა ვ. გოცირიძემ, — მაგრამ გადავწყვიტეთ ადრე დაგვეყოვნებინა და ახლავე დაგვიწყო. საერთოდ, გვირაბების გაყვანის დაწყებამდე დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი, და სწორედ ამიტომ ვიჩქარეთ. წელსვე უნდა შევუდგეთ ვერტიკალური ჭაურის აგებას იყალთოს ქუჩის ბოლოში. აქედან იწარმოებს გვირაბების გაყვანა როგორც ა. წერეთლის პროსპექტის, ისე ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მიმართულებით. წელს გვინდა დავიწყოთ აგრეთვე საკომბინატოროს მშენებლობა, რომელიც შეკუმშულ ჰაერს მიაწვდის მიწის ქვეშ მომუშავეებს. საჭირო იქნება აგრეთვე წელსვე გადავწყვიტოთ ელექტრომოშარაგების საკითხი. მალე დავიწყებთ სამშენებლო მოედნების აგებას „ვაჟა-ფშაველას“ და „დელისის“ სადგურებისათვის.

საბურთალოს მიმართულებით მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობა თბილგვირაბმშენის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი ზ. ჭურაძე) კოლექტივს დაევალა. № 23 შახტი, ასე ეწოდება ახალ უბანს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი ინჟინერი, მეტრომშენებლობის ვეტერანი კ. ჯაფარიძე. მოსამზადებელი სამუშაოები 1970 წლის მაისამდე გასტანს, შემდეგ კი დაიწყება გვირაბების მშენებლობა.

ვ. კოზიძე,
გაზეთ „მეტრომშენებლის“ რედაქტორი.

ყოველი წუთი ძვირფასია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ მხურვალედ გამოეხმაურნენ რუსთაველი მძახავის ელ. ყოწიაშვილის თაოსნობას. სამუშაო დროის ყოველი წუთის მაქსიმალურად გამოყენებისათვის ლაშქრობაში პირველი ჩაებნენ № 13 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ვ. გუგუშვილი) მეორე და მერვე ბრიგადები. მოწინააღმეტ მკერავები იხა სვანიძე და შურა ერგემლიძე გულდასმით გაეცნენ ე. ყოწიაშვილის წამოწყებას და ჩაებნენ შეჯიბრებაში. ისინი ამჭიდროებენ სამუშაო დროს, ერთი წუთითაც არ აცდენენ მანქანებს, 110-112 პროცენტით ასრულებენ დავალებებს, ზოგავენ მასალებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. მათი ნახელავი ყოველთვის მაღალხარისხოვანია. ზესტაფონის საწარმოებში ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება ყოველი წუთის მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

თხევადი გაზის ჩამოსხმა იზრდება

ახალციხე. (საკ. კორ.). თხევადი გაზის ძირეული ბაზის (დირექტორი ა. კუპრაძე) კოლექტივი, დგას რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. კოლექტივმა რვა თვეში ჩამოასხა და მომხმარებლებს მიაწოდა 2194 ტონა თხევადი გაზი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2070 ტონისა. ლენინური შრომის ვახტზე დაწინაურდნენ გაზის ჩამომსხმელები ბ. ყურმაშვილი, რ. უნიკიანი, ს. საბაძე, ზეინკალი შ. ინასარიძე, კომპრესორის მემანქანეები ნ. კონსტანტინოვი, ა. კვესელავა და სხვები.

კოლექტივის გადაწყვეტილებაა ხუთწლედის ბოლომდე გაზის ჩამოსხმა ერთნახევარჯერ გაზარდოს, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის მიზნით ჩამომსხმელ საამქროში დადგას ტრანსპორტორი და დაამონტაჟოს გაზის ავტომატური გამორთვის მოწყობილობანი.

აკადემიკოსი გ. ციციშვილი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დამთვალიერებლებს მოუთხრობს ქართველი ქიმიკოსების წარმატებებზე.

ფოტო საქდესისა. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).



საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეები მოსკოვში

ხალხთა მეგობრობის აღმავფრთოვანებელი გამოვლინება

გვესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეების მონაწილე მეცნიერთა დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა.

სოციალისტურ საზოგადოებაში მეცნიერების განსაკუთრებული როლის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ტექნიკის ყველა სასწაული, კულტურის ყველა მონაპოვარი საერთო სახალხო კუთვნილება გახდება და დღეიდან ადამიანის გონებას და გენიას ველარასოდეს ველარ გადაქცევენ ძალადობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად“.

ღრმა შინაარსი ქართული მეცნიერების, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერების დღეებისა მოსკოვში სწორედ ის არის, რომ ისინი ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების უდიდეს უპირატესობებს, ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანების ურღვევ სულიერ ერთობას. საბჭოთა ხალხი მეცნიერებისა და ცივილიზაციის ყველა სიკეთეს იყენებს პირდაპირი და ერთადერთი გონივრული დანიშნულებით — ადამიანის ბედნიერებისათვის.

ერთიანი ოჯახის გრძნობამ აღავსო ჩვენი გული მოსკოვში. სადაც უდა ყოფილიყვნენ საქართველოს წარგზავნილნი — მეცნიერთა აუდიტორიის წინაშე, ქარხნების საამქროებში, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე — ყველგან გამოთქვა ერთი და იგივე აზრი, რომ მოსკოვში, ისევე როგორც მტკვრის ნაპირებზე, ფიქრობენ უწინარეს ყოვლისა იმაზე, თუ როგორ ასახელონ და განადიდონ საბშობლო, უფრო ბედნიერი გახადონ საბჭოთა ადამიანი, უფრო ღრმად და სრულად განახორციელონ ლენინის უკვნობი იდეები.

ლენინისა და მოსკოვის მეოხებით ქრება საზღვარი ჩვენი ქვეყნის ცენტრსა და წინანდელ ჩამორჩენილ განაპირა მხარეებს შორის. ჩვენი და საერთო საბჭოთა პატრიოტული სიამაყეა ის, რომ მოსკოველებმა აღიარეს: ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი თბილისი გახდნენ საბჭოეთის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერული ცენტრები, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

მეცნიერების ლენინური დღეები მოსკოვში მხოლოდ მეცნიერული ინფორმაციის გაზიარებვ კი არ არის, არამედ ანგარიშია ჩვენს მეცნიერთა მიღწევებზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რომლებითაც ვეგებებით ლენინის იუბილეს. საბჭოთა მეცნიერები, ისევე როგორც ყველა მშრომელი, ისწრაფვიან ახალი დიდი ადმოჩენებით, ბუნების კანონებისა და მატერიის ორგანიზაციის ფორმების უფრო ღრმა შეცნობით ამრავლონ თავიანთი წვლილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საქმეში.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მეცნიერება და კომუნიზმი განუყოფელი არიან ერთმანეთისაგან, რომ კომუნიზმის აშენება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე მეცნიერული ცოდნის ბაზაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეები მოსკოვში კიდევ ერთი დაუვიწყარი მაგალითია საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობის და ძმობისა, რომლებიც ჭეულუხვად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ უდიდეს სულიერ ღირებულებებს. ამასთან ამ დღეებმა ცხადყვნა, რომ დღითი დღე მტკიცდება და ძლიერდება მთელი ჩვენი დიადი მოწინავე იდეები.

მოსკოვში ყოფნამ თითოეულ ჩვენგანზე საქართველოს დელეგაციის წევრებზე წარუშლელი მოახდინა. ეს იყო ჭეშმარიტად ძმათა შეხვედრა, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ჩვენი ცხოვრების საბჭოთა წესმა, და რომელიც ყოველთვის გაგრძელდება, რადგან უმრეტია ამ მეგობრობის წყარო.

გულითად, ულრმეს მადლობას ვუძღვნით მოსკოველებს ულულუხვი საბჭოური მასპინძლობისათვის, მადლობა მოსკოვის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს, დედაქალაქის ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონების ხელმძღვანელებსა და მშრომელებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობას, მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, დედაქალაქის ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონის ხელმძღვანელებს, ყველა ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძელს გულითადი შეხვედრისათვის! (საქდესი).

გულითადობის ვითარებაში

ამხ. ნ. ჟუკოვ-ვერეჟნიკოვმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს სსრ დიდი წვლილი მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების დიდმნიშვნელოვან, საერთო პარტიულ საქმეში და წაიკითხა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილება, რომ საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეების მონაწილენი დაჯილდოებულნი არიან სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მოსკოვში საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეების მოწყობაში აქტიური მონაწილეობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდაში შეტანილი დიდი წვლილისა“ის საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სსრ მეცნიერთა დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. სტურუა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **ლექტორს ბ. მერკვილაძეს,** საქართველოს სს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს **ი. თოდუას,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორს **ბ. მერკვილაძეს,** საქართველოს სს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის რეფერენტს **ლ. ეგოროვს.**

ჯილდო გადასცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს **ლ. თოხაძეს.**

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ქართველ მეცნიერთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.** მან მადლობა გადაიხადა დიდი პატივისათვის, რომელიც ლენინური დღეების მონაწილეებს დასდეს, იმისათვის, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა, მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, დედაქალაქის ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონის ხელმძღვანელები. დედაქალაქის ყველა მშრომელი გულითადად და ძმურად შეხვდნენ ქართველ მეცნიერებს.

— სასიამოვნო და სასიხარულოა, თქვა ამხ. სტურუამ, რომ ჩვენს „დღეებში“ კვლავ ვხედავთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის მკაფიო გამოვლინებას.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა **ი. აბაშიძეს, ე. ანდრონიკაშვილს, შ. ამირანაშვილს, ვ. კუპრაძეს, გ. ციციშვილს, ა. ჩიქობავას,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს **ვ. გომელაურს, ა. ძიძიგურს, ნ. ჯავახიშვილს,, ვ. ჭავჭანიძეს,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **გ. ჯიბლაძეს,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესორ **გ. მიქელაძეს,** პროფესორებს **ა. ეფენტს, მ. ლორთქიფანიძეს, ვ. მერკვილაძეს, ი. მიქელაძეს, ი. ციციშვილს, ნ. ჭავჭავაძეს,** სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **ს. ხერინაშვილს.**

სამახსოვრო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს **ი. თოდუას,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორს **ბ. მერკვილაძეს,** საქართველოს სს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარეს **ლ. ბოხაძეს.**

ბოსკოვი, 19 სექტემბერი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტები მ. ტრასკუნოვი, ი. გულდმანი). სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნაში“ გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერთა დელეგაციის შეხვედრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან და სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ა. რუმიანცევმა.**

— ყველამ, ვისაც შეხვდნენ ქართველი მეცნიერები, თქვა ამხ. რუმიანცევმა, განიცადეს დიდი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობა ქართული მეცნიერების მიღწევებისა და წარმატებების გამო.

ამხ. რუმიანცევმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით გულთბილად გადაუხადა მადლობა მეცნიერების ლენინური დღეების მონაწილეებს საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს სანტერესო მოხსენებებისა და ინფორმაციებისათვის, მოსკოველებთან შეხვედრებისათვის, დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომელსაც ეწევიან საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში.

სიტყვა ეძლევა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს **ნ. ჟუკოვ-ვერეჟნიკოვს.**

ამხ. ნ. ჟუკოვ-ვერეჟნიკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ერთ-ერთ ადამიანურ ფენომენ, ერთ-ერთ ეროვნულ ფენომენ, ეროვნულ ფენომენ, ეროვნულ ფენომენ,

საერთაშორისო ხროვნება

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, (საკდესი). 18 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე დაიწყო ზოგადპოლიტიკური დისკუსია. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა. მან აღიარა, რომ „უკანასკნელი წლების მანძილზე შეერთებულ შტატებსა ამერიკის შეერთებულ შტატების საერთაშორისო ვალდებულებათა მასშტაბებსა და შედეგებს". მათ შორის პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ვიეტნამის ომს, თქვა, რომ არც ერთ სხვა საკითხს არ წაერთმევია მისთვის „ამდენი დრო და ენერგია". როგორც ნიქსონმა აღნიშნა, „ჯარგი სიტყვები ვერ ცვლის კონკრეტულ საქმეებს, ხოლო ერთიანშობილური რიტორიკა კეთილშობილური შედეგების გარანტია როდია". მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანობისადმი მიძღვნილი შენიშვნა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ვალდებულებათა მასშტაბებსა და შედეგებს".

მათ შორის პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ვიეტნამის ომს, თქვა, რომ არც ერთ სხვა საკითხს არ წაერთმევია მისთვის „ამდენი დრო და ენერგია". როგორც ნიქსონმა აღნიშნა, „ჯარგი სიტყვები ვერ ცვლის კონკრეტულ საქმეებს, ხოლო ერთიანშობილური რიტორიკა კეთილშობილური შედეგების გარანტია როდია". მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანობისადმი მიძღვნილი შენიშვნა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ვალდებულებათა მასშტაბებსა და შედეგებს".

საპროტესტო მიტინგი

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). „ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დაიბრუნონ შინ ყველა ამერიკელი ჯარისკაცი", — ასეთი ლოზუნგით გაიმართა გუშინ მიტინგი და დემონსტრაცია ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან. მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლები მოვიდნენ აქ, რომ მტკიცე პროტესტი განაცხადონ ვიეტნამში შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოსულმა მშვიდობისათვის მებრძოლი ამერიკის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელმა მ. მ. მოითხოვეს, რომ ამერიკამ უსიტყვოდ გაიყვანოს თავისი ჯარები ვიეტნამიდან.

პენტაგონის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ

ვაშინგტონი, 19 სექტემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების სენატმა გუშინ მოიწონა, რომ ახალი სისტემის იარაღის შესაქმნელად მიმდინარე საფინანსო წელს, რომელიც 1 ივლისს დაიწყო, გამოიყოს 20 მილიარდი დოლარი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალს საკენტო იუწყება, პენტაგონმა შეიტანა სენატორები, რომ ფაფინანსონ პრაქტიკულად ყველა სახეობისა და სისტემის იარაღი, რომელსაც იგი მოითხოვდა. მათ შორის, კერძოდ, არის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის „სეფჯარდის" მშენებლობის პირველი ფაზის დაწყება, ახალი რაკეტების, ბომბდამშენების, ატომური წყალქვეშა ნავებისა და ავიამზიდების მშენებლობა.

საზაფხულო არდადეგების შემდეგ სენატის პირველი გადაწყვეტილება ის იყო, რომ დაკმაყოფილა სამხედრო უწყების მოთხოვნები. ეს მოწმობს, რომ ამერიკელი კანონმდებლები კვლავ მთავარ ყურადღებას უთმობენ პენტაგონისა და იმ სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების ინტერესებს, რომლებიც იარაღის წარმოებით მდიდრდებიან.

ფოტოაპარატით მსოფლიოს ძალაქებში

ვარშავა

(პოლონეთი)

დაფუძნებული 1336 წლიდან ვარშავაში აშენდა 460 ათასზე მეტი საცხოვრებელი ბინა. სურათზე: ვარშავის არქიტექტურა გამოირჩევა თანამედროვე ფორმით და ქალაქის მშენებლობის პრობლემების გადაწყვეტილებით.

შეწყდეს შეიარაღებული ეროვნოკაციები!

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ისრაელის მხედრიონის აგრესიისა და ვანდალიზმის აქტებს და მოითხოვს ისრაელმა დაუყოვნებლივ გამოიყვანოს მთელი ჯარები არაბული ტერიტორიებიდან.

განცხადებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა მხარს უჭერს მშვიდობის მხოფლიო საბჭოს მოწოდებას, აღნიშნოს 21 სექტემბერი ოკუპირებული არაბული ტერიტორიების ხალხებთან სოლიდარობის დღად, და კვლავ სრულ სოლიდარობას უცხადებს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა კვლავაც სულ უფრო მეტ მხარდაჭერას გაუწევს ამ ბრძოლას ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის აღდგენისათვის. (საკდესი).

□ □

პარიზის თათბირი

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). **საერთაშორისო კონფერენციის ხ' -ში კლებერის ავენიუზე გიმ ' ' ვიეტნამის შესახებ პარიზის ' ' '

მგოსნის უკვდავება

დიდი ჰუმანისტი

გრიგოლ აბაშიძე

მოქმე სომხეთის კულტურის დღესასწაული — ოვანეს თუმანიანის დაბადების ასი წლისთავი ხაბეჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაულად გადაიქცა.

ოვანეს თუმანიანი იყო სომხეთის უდიდესი ეროვნული პოეტი, მის შემოქმედებაში ღრმად და ფართოდ აისახა მშობელი ხალხის ბრძოლა და ფხრიწვა აღორძინებისა და უკეთესი მომავლისაკენ, მისი სულიერი ხილამაზე და კეთილშობილება.

ოვანეს თუმანიანი იყო დიდი ჰუმანისტი მწერალი და მოაზროვნე, რომელსაც სწამდა, რომ „ერთი ერის ბედნიერება არ შეიძლება მეორე ერის უბედურებაზე აშენდეს". მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი მრავალტანჯული ხალხი, მაგრამ უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული ყველა სხვა ხალხის მიმართაც.

ოვანეს თუმანიანი მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაკავშირებული იყო საქართველოსთან. მან კარგად იცოდა ქართველი ერის გმირული წარსული და ღრმად სწამდა მისი ბრწყინვალე მომავალი. ოვანეს თუმანიანმა რამდენიმე ლექსი მიუძღვნა საქართველოს. ეს ლექსები ქართველი ხალხისადმი გულწრფელი სიყვარულით არის გამთბარი და სომეხ-ქართველთა ისტორიული ძმობის კეთილნაყოფიერების შეგნებით არის შთაგონებული.

ოვანეს თუმანიანს თავისი ერის ბედნიერება საქართველოს ბედნიერების გარეშე არ ჰქონდა წარმოდგენილი. იგი, როგორც სომეხი ხალხის სულიერი მეთაური, ყველასფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამიერკავკასიის ხალხებს შორის ყოფილიყო სრული გაგება, მეტი ხიახლოვე და მტკიცე მეგობრობა.

თუმანიანი თოთხმეტი წლის უმაწვილი იყო, თბილისში რომ დასახლდა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება პოეტმა ჩვენს დიდქალაქში გაატარა, იგი იყო თბილისის ღირსეული მოქალაქე, მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ინტელიგენციასთან და ცხოვილ მონაწილეობას იღებდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

ოვანეს თუმანიანი იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, მის პოეზიას ხალხური შემოქმედების ღრმა ფესვები ასაზრდოებდა და ხალხისთვის გასაგები ენაზე, ყველასათვის მისაწვდომად ქმნიდა თავის შესანიშნავ ნაწარმოებებს.

ამიტომ არის ოვანეს თუმანიანის შემოქმედება მარად ცოცხალი და უბერებელი, ამიტომ მოიპოვა მან თავისი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ყველა ხალხის გულწრფელი პატივისცემა.

საქართველოს გზებზე

ოვანეს თუმანიანი ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ ისტორიულ სურათზე თქვენ ხედავთ პოეტს, რომელიც ბოგრიტით ათვალიერებს თმოგვის ციხეს.

ასე აფასებდნენ

● მისი მომჯადოებელი ენა, სადაც რომ მოხვდა, ნამდვილი სასწაული მოახდინა — რაც არ უნდა დაეწერა: ზღაპრები, პოემები თუ მოთხრობები.

... იგი ჩვენთვის იგივე იყო, რაც რუსებისთვის — პუშკინი, პოლონელებისთვის — მიცკევიჩი.

ავეტიქ ისააკიანი.

● ჩვენთვის ყველასათვის საყვარელია ოვანეს თუმანიანის მდიდარი, მრავალფანროვანი და მრავალშინაარსიანი შემოქმედება. დიდი პოეტის უკვდავი ნაწარმოებები ჩვენთვის არის და კვლავ იქნება ღრმა პატივისცემის და სიამოვნების საგანი.

ალექსეი სურკოვი.

● **როგორც** მაღალია სომხეთის მთები — ისე მაღალია ოვანეს თუმანიანის მორალური სახე. როგორც ღრმაა სომხეთის ტბები—ისევე ღრმაა თუმანიანის აზრები.

პავლო ტიჩინა.

● ისტორიამ მაღლა აღმართა იმათი სახელები, რომლებსაც მრავალი წლის მანძილზე უფიქრიათ და უბრძოლიათ ხალხების ბედნიერებისა და შეგობრობისათვის. ასეთ ნათელ, მშვენიერ ადამიანთა შორის იყო ოვანეს თუმანიანი.

მაჰმედ რაჯიმი.

● ოვ. თუმანიანს თავისი ნაწარმოებების ქართული თარგმანები არ უნახავს. მისი წიგნი გამოვიდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ, მაგ წიგნში შევიტანე მისი ნაწარმოებების საუკეთესო ნიმუშები... ჩემი სურვილი იყო ქართველი პოეტის ეს თარგმანი გასდევს პოეტის ერთა ძმობის საუკეთესო მოგონების ძგერ, იმ პოეტის, რომელიც უსაზღვრო სიყვარულით უყვარს ქართველ ხალხს და რომელსაც უბრძოლია ამ ერთა ძმობისათვის.

იოსებ გრიშაშვილი.

● ოვ. თუმანიანის პოეტური სიტყვა, მისი ჰუმანური პოეზია ქართველი ხალხისათვის ისეთივე სასიყვარულო იყო, როგორც თავისი მშობლიური ქვეყნისათვის.

ხალხი და სამშობლო — ეს უკვდავი სიტყვები ეწერა მის ლირიზე. ჩვენი თბილისი მხურვალედ იგონებს სომეხთა უდიდეს პოეტს და ადამიანს, რომელიც პრინციპული მტერი იყო ყოველგვარი სოციალური და ეროვნული დათრგუნვისა.

გიორგი ლეონიძე.

სიეტბილოვიდ...

სომეხთა დიდი მგოსნის ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო თარიღი შესაფერისად აღნიშნეს რესპუბლიკის გამომცემლობებმა, ჩვენმა მკითხველმა მიიღო პოეტის ნაწარმოებთა ახალი კრებულები, აგრეთვე წიგნები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. „მერანმა" გამოსცა მგოსნის ლექსების, პოემებისა და ლეგენდების ვრცელი კრებული, რომლის რედაქტორია კ. კალაძე, ხოლო მხატვრული გაფორმებისა და ილუსტრაციების ავტორი ლ. ცუცკირიძე. თარგმანი ეკუთვნით ცნობილ ქართველ პოეტებს. „ნაკადულმა" გამოსცა მწერლის მოთხრობებისა და ზღაპრების წიგნი „ირმის სიკვდილი" (თარგმანი არჩ. დავითიანისა, მხატვრები გ. გიგაური და ი. მეძმარიაშვილი). აქვე გამოვიდა ცნობილი მოთხრობა „ბიკორი" (თარგმანი ი. გრიშაშვილისა, მხატვარი ზ. ნიკარაძე).

ერემია ჟარელიშვილის წიგნი „ოვანეს თუმანიანი" გამოსცა „მერანმა", ხოლო ბენედიქტ არველაძის გამოკვლევა „ოვანეს თუმანიანი და საქართველო" — „საბჭოთა საქართველომ".

ოვანეს თუმანიანი — ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი — ახალი თარგმანები

საქართველოს სული

ვით სურნელი საკმლის ტყემი,
მორით ნასმენ ჯანგთა ძალის,—
დგას იისფერ სიშორეში
ვარდასხმული პატარძალი;
არ ვიღოცო? მამ სხვა რა გზით
დავტკბე მისი სილამაზით!

მთლად ნიჟი და სიანკარე
იცქირება ჩემში ჩუმად,
მოჰფენია გულის კარებს
სიყვარულის აბრეშუმად;
ვინ იქნება, ვინ არ აქებს
მის ცეცხლსა თუ სისპეტაკეს?

წმინდა ქალწულს ვაზის ჯვარი
აღუპყვრია ცათა კიდეს,
ის მიაგავს ღვთიურ ყვავილს,
გეგონება სუნთქავს კიდეც,
რომ შეიგრძნო: ტანჯვა ბადებს
სიხარულის სიდიადეს.

თუმცა ზოგჯერ ციურ ბრწყინვას
საბურველი ერტყა ნისლის,
გულს იპყრობდა სევდის წვიმა,
დარდი უქმად დაღვრილ სისლის;
და ბოროტიც დაითრგუნა,
გაიხარა ხალხის გულმა.

ნეტავ შევძლო ძმური ხელით
ჩამოვხსნიდე ნისლის ლანდებს,
რომ ცხოვრება უზრუნველი
იმ მთებს შორის აელვარდეს,
განგებამ რომ შექმნა ლოცვად,
იხილა და თვით გაოცდა.

. . .

დრო და სამყარო დაუსაბამო,
მშვენიერებით სავსე სალაოო,
ცხოვრება ღელვით მიედინება,
ტალღები ტალღებს სულ ეკონენ.
მოდიან ქვეკით,
შიშით და მტვრევით,
ციცხალი, მკვირცხლი,
ფორმით ულევი
და მათი რიცხვი
დაუსრულებლი...

იმ მდინარების ხმაური დიდი,
უძრავი, მუხჯი, უგრძნობი, მშვიდი
და ბრძოლისადმი გულგრილი თანაც,
რაც ქმეულად ხალხმა გადაიტანა,
სუსტი და მძლავრი
ერთურთის დარხი
მუდამ დნებიან
მშვიდად, უეხებლად,
და ერთდებიან
დაუსრულებლად...

წინასწარმეტყველება

ახლა მე მოვალ, — წარმოთქვამს ღმერთი,—
რომ დავეხმარო დარბის ბრძოლას,
მას დავუდგები ყოველთვის გვერდით,
რადგან მიხმო და წინ გამიძღოლა.

ძრწოდეთ, მტარვალნო! რად ა�ერმალეთ
ქოხში ობოლი ან ქვრივი დედა?
ამაოდ ფიქრობთ, რომ თქვენს საქციელს
თითქოს არავინ ისმენს და ხედავს!

განა არ გხედავთ, განა არ გისმენთ,
ვინც ყურნი შექმნა ანდა თვალები?
ნუთუ გგონიათ, მუდამ მოგითმენთ,
მის რისხვას სადმე დაემალებით?

მე ვუცქერ თქვენს გზას სიავით სავსეს,
სად რას ჩადიხართ, ვინ და რომელი,
აი მოვდივარ დედამიწაზე
უფალი ძალთა, ცეცხლის მპყრობელი.

ამ ცეცხლს აღვაგზნებ ჩაგრულის სულში,
მით განსჯებით ეს, სადაც ჯერ არს,
ძალა ვარ ღარიბ გლეხის და მუშის,
მოვდივარ მხოლოდ თქვენს დასასჯელად!

ასვლა-ჩამოსვლა

ორმოცი წელი მივდივარ ამ გზით
უშიშრად, მედგრად
და მთაზე შემდგარს
ქვეყანა მხვდება ნათელი აზრის.

ორმოცი წელი ჭაპანი ვწიე,
მრავალი ტანჯვით
და ბედის განსჯით
სულის სიმშვიდეს მე მივაღწიე.

მთის ძირს დავტოვე — გული დაცცალე —
დიდება, განძი,
მტრობა და ღვარძლი,
ხულ ყველაფერი, რაც სულს აწვალებს.

და ახლა ვხედავ, რომ სიძლიერე
მათი წავიდა,
მთის მწვერვალიდან
დაცცერი მხოლოდ სიცარიელეს...

და უკვე ბრძენი და გულით წმინდა
სიცილ-ხარხარით,
ლექსით ახალით
მე ჩამოვდივარ ამ მაღალ მთიდან.

• • •

თუ შენს სახეზე უკანასკნელი
დარჩება მზერა ჩემი თვალების,
თუ გული მიგრძნობს, რომ შენი ცრემლი
დამიტირებს და შეგებრალები,

თუ დავრწმუნდები, რომ შენ ნამდვილად
ჩემი სიკვდილი დაგამწუხარებს,
სიყვარულს ვფიცავ, რომ სულ ადვილად,
დამშვიდებული წავალ ამ მხარეს.

და თუ მომახსენ საფლავში მძინარს
შენს ქვითინს ნაცნობს და ბლოკვით
აღვსილს,
თავს ვინუგეშებ, რომ გაყვარებივარ
და ჩემს სიცოცხლეს ჭქონია ფასი.

თარგმანი სომხურიდან

ანდრო თევზაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვანეს თუმანიანი

დე, იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა.

□ □

სომეხი და ქართველი, საქართველო და სომხეთი საუკეთესო მეზობლები იქნებიან — ამაში ეჭვი არასოდეს შემპარვია. ჩვენ, ლიტერატორები კი მათი ურთიერთდაახლოების პირველი მესაფეურნი უნდა ვიყოთ.

მეგობრობის ფრუბადური

ამორჩენილი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის უანგარო სიყვარული და პატივისცემა საქართველოსადმი საყოველთაოდ არის ცნობილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოვ. თუმანიანის შემოქმედებაში საქართველოს თემას, განსაკუთრებით კი ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის განმტკიცების თემას პირველი ადგილი უჭირავს. ეს არც არის გასაკვირველი, საქართველო ხომ მისი მეორე სამშობლო იყო, რომელიც პირველში არანაკლებ უყვარდა და აფასებდა.

სომეხი პოეტი ქართულ სინამდვილესთან გულის უნაზესი ძაფებით იყო დაკავშირებული და ამიტომაც იქცა იგი თუმანიანის პოეტური შთაგონების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. აქ შექმნა მან თავისი სწორუპოვარი პოეტური შედევრები „ანუშ", „თმოგვის ციხის ალები", „ფარვანა", „გიქორი" და მრავალი სხვა. საქართველოში, კერძოდ თბილისში, ეწვიო ოვ. თუმანიანი დაუღალავ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელიც მიმართული იყო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და კულტურული ურთიერთობის გაფართოებისაკენ. მაგრამ ოვ. თუმანიანის პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მაინც ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობის ნათელი ტრადიციების დაცვა და მათ შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაფართოება იყო.

ამისათვის პოეტი არ ზოგავდა არც ენერგიას და არც დროს. დიდმა ჰუმანისტმა იცოდა, რომ ამ ორი მეზობელი ერის მეგობრობა თვით მათი სიცოცხლის, არსებობის საწინდარი იყო. ოვ. თუმანიანმა ერთ-ერთ თავის წერილში პირადირ მიმართა ქართველ ხალხს „ძმებო, ქართველებო, ჩვენო მრავალსაუკუნოვანო ტანჯულო ძმანო, მუდამ თავისუფალნო და კეთილშობილნო! თუ ლიტერატურა სულის ჭეშმარიტი ანარეკლია, პოეტი კი ამ სულის გამომხატველი, მაშინ თქვენთან მომაქვს ჩემი ერის სული, როგორც ყველაფერზე მაღალი და კეთილშობილი, რაც შესაძლოა ხალხს და ადამიანს ჰქონდეს... ქართველები კავკასიაში ყოველთვის პირველები იყვნენ თავიანთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბრძოლაში".

ქართველი ხალხის ბუნებრივ ჰუმანიზმზე და კეთილშობილ ხასიათზე, კერძოდ კი ქართველებზე როგორც შესანიშნავ მეზობლებზე იგი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. ოვ. თუმანიანს ვერ წარმოუდგენია ამ მეგობრობის დარღვევა. მას სწამდა, რომ ამ ხალხთა მეგობრობას ვერაფერი შეარყევდა. „სომეხი და ქართველი, საქართველო და სომხეთი საუკეთესო მეზობლები იქნებიან — ამაში ეჭვი არასდროს არ შემპარვია. ჩვენ, ლიტერატორები, კი მათი ურთიერთდაახლოების პირველი მესვეურნი უნდა ვიყოთ".

მართლაც, ოვ. თუმანიანი არა მარტო საზოგადოებრივი მოღვაწეობით, არამედ თავისი მხატვრული ნაწარმოებებით პირველი მესვეური იყო ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთდაახლოებისა და ამით მაგალითს აძლევდა თავის თანამოძმე ლიტერატორებს. „ქართველის წრფელი ბუნება, სულის პატიოსნება, ბუნებრივი სიმშრომელე, თავისუფლების და სილამაზის დიდი სიყვარული, ეს ყველაფერი, სიცოცხლის წყურვილის და ნაზი სევდის ათინათით გაბრწყინვებული, საფუძველია იმისა, რომ ქართული პოეზიის დიდი მომავალი აქვს. ეს თვისებები საოცარი რელიეფურობით ჩანს ზოთა რუსთაველში, რომელიც მთელი თავისი არსებით ქართველია", — წერდა ოვ. თუმანიანი ქართული პოეზიის და მისი მომავალი ფართო პერსპექტივების შესახებ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში.

ოვ. თუმანიანი ქართული მწერლობის ყოველ მოვლენას ცხოველი ინტერესით ეკიდებოდა. 1893 წლის 25 აპრილს ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას თუმანიანმა დაიტოლა და ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსიც წაიკითხა. აღსანიშნავია ისიც, რომ სომეხმა პოეტმა რამდენჯერმე ინახულა ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა და ქართველი პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სომეხი ერის სახელით სამძიმრის დეპეშაც გამოუგზავნა ეჩმიაძინიდან. „ამ ტრაგიკულ დროს მშრომელმა ხალხმა ღრმად იგრძნო შესანიშნავი ადამიანის და დიდებული პოეტის ვაჟა-ფშაველის დაკარგვა. გულწრფელ სამძიმარს მოგახსენებ ქართველ ხალხს".

1916 წელს ოვ. თუმანიანმა გამოაქვეყნა ქართველი ხალხის სიყვარული გამმბარი ლექსი „საქართველოს", სომეხ პოეტში გულწრფელ ზიზღს იწვევდა მომძე ქართველი ხალხის მტრების შხამიანი სისინი. ეს ადამიანები ისე არიან სიძულვილით დაბრმავებულნი, რომ საქართველოს სიკეთეს, მადლს და პატიოსან, მაღალ სულს ვეღარ ხედავენ.

ოვ. თუმანიანის მეგობრული სიყვარული და პატივისცემა ქართველი ხალხისა და მწერლობისადმი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოჩნდა მის შესანიშნავ ლექსში „საქართველოს პოეტებს", რომელიც პირველად წაიკითხა 1919 წლის 2 აპრილს ტიციან ტაბაძის საღამოზე, თბილისში.

ეს ლექსი მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით და ღრმერი მხატვრული დამაჯერებლობით გამოირჩევა.

ხალხთა კიდევ უფრო დაახლოების ეს მეგობრობის ერთ-ერთ გზად ოვ. თუმანიანს მართებულად მიაჩნდა მხატვრული სიტყვა, პოეზია.

დე, ჩვენი ლექსის ნაზ
ცისარტყელამ
მოხალოს ვერაგთა სახანი
მტრული.
დე, ჩვენი ლექსი მოედოს
ყველას,
ბედნიერებით გადაზღაპრული.

ოვ. თუმანიანი ყოველთვის მაღალი აზრისა იყო ქართულ პოეზიაზე და სწამდა მისი დიდი მომავალი. მან საქვეყნოდ აღიარა ქართველი მწერლების დიდი ტალანტი:

თანამოძმენო, ხალამი თქვენდა!
პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრად,
და არარატმა—როგორც
ლეგენდა —
გული გაიპო თქვენ
შესახვედრად.

დავრჩეთ, ქართველნო, ძმად
და მეგობრად,
შევქმნათ ოჯახი ამხანაგური,
ვის შეუძლია, რომ
გადაგვთელოს,
ჩვენს სულში ცეცხლი არ
იწვის განა?
დე, იგრძნოს ყველამ, რომ
საქართველო
არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა.

ოვ. თუმანიანს ეკუთვნის აგრეთვე ლექსი „საქართველოს სული", რომლის ყოველი სტრიქონი ქართველი ხალხის სიყვარულით არის გამთბარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ოვ. თუმანიანის დამოკიდებულება საქართველოსადმი მარტო აღნიშნული ფაქტებით არ ამოიწურება. მისი მხატვრული ქმნილებანი „ფარვანა" და „თმოგვის ციხის ალები" ქართულ ფოლკლორულ მასალებზეა აგებული, ხოლო მისი ზღაპრები თავისი შინაარსით ძლიერ ჰგავს ქართულ ხალხურ ზღაპრებს. მაგალითად, თუმანიანის ზღაპარი „ბულადი ნაზარა" ქართული „ნაცარქიანის" და „ბლეთამძლის" ორეულად შეიძლება მივიჩნიოთ.

ოვ. თუმანიანმა ქართველი ხალხის და მწერლობის მეგობართა შორის ღირსეულად დამიგვიდრა საპატიო ადგილი. მის დიდ და გულწრფელ სიყვარულს მთელმა ქართველმა ხალხმა, ლიტერატორებმა და პოეტებმა მეგობრული სიყვარულით უპასუხეს.

„მე არაერთხელ მინახავს ოვანეს თუმანიანი. ბედნიერება მქონდა, სულიად ახალგაზრდა, სტუმრად ვყოფილიყავი ოვანეს თუმანიანთან 1920 წელს, მისივე მიპატიჟებით. არასდროს დამავიწყდება მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, თითქოს ლერწამი ქარის წინაშე, შეგერცხლილი, მოღიმარი, სათნო ოვანესი. მან თაფლწასმული სიტყვა იცოდა. იგი იყო მისანდობელი და მართალი ადამიანი, — წერს გიორგი ლეონიძე და განაგრძობს, — ის მოხიბლული იყო საქართველოს ბუნების სილამაზით და სიდიადით. — ჩემი ლექსების უმთავრესი დიდი ნაწილი საქართველოს ბუნების გაგლენით დაწერილი, დიმილით იტყოდა ოვანესი". ჩვენ აღარას ვამბობთ ი. გრიშაშვილის, ტ. ტაბაძის, პ. იაშვილის, ი. იმედაშვილის და სხვა ქართველი პოეტებისა და ოვ. თუმანიანის მეგობრობის შესახებ. ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია.

ამავე დროს ქართული პერიოდიკის ფურცლებზე გვხვდება მრავალი ქართველი ლიტერატორის წერილები და სტატიები, სადაც განხილულია ოვ. თუმანიანის შემოქმედების სხვადასხვა საკითხები. აქედან აღსანიშნავია აკ. ბარამიძის, ი. გრიშაშვილის, ერ. ჭარელიშვილის, ვ. შილაკაძის, ვ. იმედაძის და სხვათა წერილები, რომლებიც ქართველი მკითხველი ეცნობა თუმანიანის ცხოვრებასა და შემოქმედებითს გზას.

ქართველი მკითხველი საზოგადოება ოვ. თუმანიანის შემოქმედებას უმთავრესად ი. გრიშაშვილის შესანიშნავი თარგმანებით იცნობს: „ჩემი მიზანი იყო განსაკუთრებული წინაშე ჩემი პირობა პირნათლად შემესრულებინა (ერთხელ ბაასის დროს, მე და ოვანესი ერთმანეთს დავპირდით ჩვენი ნაწერების თარგმნას) და მსურდა, რომ ოვანეს თუმანიანი — ეს საქართველოს საუკეთესო მეგობარი — ქართველი ხალხის წინაშე ნამდვილი სახით წარმედგინა" — წერდა ი. გრიშაშვილი 1924 წელს თარგმანების პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში. ქართველმა მგოსანმა თავისი სიტყვა მართლაც პირნათლად შეასრულა. მის მიერ შესრულებული თარგმანები, თავისი მნიშვნელობით ქართული თარგმნილი ლიტერატურის ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ.

დღეს კი ქართველი ხალხი აქტიურად ეხმაურება სომეხი ხალხის გამოჩენილი შვილის — ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს და მომძე რესპუბლიკებთან ერთად ზეიმით აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

გონდო არველაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ხალხის სიყვარული

ოვანეს ხალხის დიდი პოეტი ოვანეს თუმანიანი, რომლის სახელი კარგა ხანია გასცდა თავისი სამშობლოს საზღვრებს, დაიბადა 1869 წლის 19 თებერვალს დსეღში, ლორეს მხარეში, მაღალი მთებით გარშემორტყმულ სოფელში. მამა — თადეოს თუმანიანი მღვდელი იყო, ღარიბადაც ცხოვრობდა მიწურ, ბანიან ქოხში, მაგრამ ძალიან სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი კაცი ყოფილა, მომლხენი, მეჩონგური, მომღერალი, თანაც ავტორიტეტიანი, პატივცემული. შემდეგ მამისა და შვილის ბევრ საერთო თვისებაზე მიუთითებდნენ. მართლაც, ოვ. თუმანიანის სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, გულღიაობა, საერთოდ ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ ამ თვისებებს პოეტიც დიდად აფასებდა ადამიანში. ამაში ის პოეტურობას ხედავდა. ქართველების შესახებაც, ალბათ, ამიტომ ამბობდა იგი — „ყოველი ქართველი პოეტია, ამიტომ ქართველი პოეტი — ორმაგად პოეტია".

ათ წლამდე სოფელშივე იზრდებოდა. წერა-კითხვაც იქ შეისწავლა. შემდეგ ჯალალ-ოღლის (ახლა სტეფანავანის) სკოლაში სწავლობდა, რომელიც ამ სასწავლებლის დახურვის გამო არ დაუმთავრებია. შემდეგ კი თბილისში, ცნობილი ნერსესის სემინარიაში განაგრძო სწავლა. არც ეს სასწავლებელი დაუმთავრებია, რადგან იგი ვეღარ აკმაყოფილებდა მის სულიერ მოთხოვნილებებს. უსახსრობის გამო ვეღარც უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო სწავლა და თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ამ მეგობრობის დარღვევა. მას სწამდა, რომ ამ ხალხთა მეგობრობას ვერაფერი შეარყევდა. „სომეხი და ქართველი, საქართველო და სომხეთი საუკეთესო მეზობლები იქნებიან — ამაში ეჭვი არასდროს არ შემპარვია. ჩვენ, ლიტერატორები, კი მათი ურთიერთდაახლოების პირველი მესვეურნი უნდა ვიყოთ".

მართლაც, ოვ. თუმანიანი არა მარტო საზოგადოებრივი მოღვაწეობით, არამედ თავისი მხატვრული ნაწარმოებებით პირველი მესვეური იყო ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთდაახლოებისა და ამით მაგალითს აძლევდა თავის თანამოძმე ლიტერატორებს. „ქართველის წრფელი ბუნება, სულის პატიოსნება, ბუნებრივი სიმშრომელე, თავისუფლების და სილამაზის დიდი სიყვარული, ეს ყველაფერი, სიცოცხლის წყურვილის და ნაზი სევდის ათინათით გაბრწყინვებული, საფუძველია იმისა, რომ ქართული პოეზიის დიდი მომავალი აქვს. ეს თვისებები საოცარი რელიეფურობით ჩანს ზოთა რუსთაველში, რომელიც მთელი თავისი არსებით ქართველია", — წერდა ოვ. თუმანიანი ქართული პოეზიის და მისი მომავალი ფართო პერსპექტივების შესახებ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში.

ოვ. თუმანიანი ქართული მწერლობის ყოველ მოვლენას ცხოველი ინტერესით ეკიდებოდა. 1893 წლის 25 აპრილს ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას თუმანიანმა დაესწრო და ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსიც წაიკითხა. აღსანიშნავია ისიც, რომ სომეხმა პოეტმა რამდენჯერმე ინახულა ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა და ქართველი პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სომეხი ერის სახელით სამძიმრის დეპეშაც გამოუგზავნა ეჩმიაძინიდან. „ამ ტრაგიკულ დროს მშრომელმა ხალხმა ღრმად იგრძნო შესანიშნავი ადამიანის და დიდებული პოეტის ვაჟა-ფშაველის დაკარგვა. გულწრფელ სამძიმარს მოგახსენებ ქართველ ხალხს".

1916 წელს ოვ. თუმანიანმა გამოაქვეყნა ქართველი ხალხის სიყვარულით გამმბარი ლექსი „საქართველოს", სომეხ პოეტში გულწრფელ ზიზღს იწვევდა მომძე ქართველი ხალხის მტრების შხამიანი სისინი. ეს ადამიანები ისე არიან სიძულვილით დაბრმავებულნი, რომ საქართველოს სიკეთეს, მადლს და პატიოსან, მაღალ სულს ვეღარ ხედავენ.

ოვ. თუმანიანის მეგობრული სიყვარული და პატივისცემა ქართველი ხალხისა და მწერლობისადმი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოჩნდა მის შესანიშნავ ლექსში „საქართველოს პოეტებს", რომელიც პირველად წაიკითხა 1919 წლის 2 აპრილს ტიციან ტაბაძის საღამოზე, თბილისში.

ეს ლექსი მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით და ღრმერი მხატვრული დამაჯერებლობით გამოირჩევა.

ხალხთა კიდევ უფრო დაახლოების ეს მეგობრობის ერთ-ერთ გზად ოვ. თუმანიანს მართებულად მიაჩნდა მხატვრული სიტყვა, პოეზია.

დე, ჩვენი ლექსის ნაზ
ცისარტყელამ
მოხალოს ვერაგთა სახანი
მტრული.
დე, ჩვენი ლექსი მოედოს
ყველას,
ბედნიერებით გადაზღაპრული.

ოვ. თუმანიანი ყოველთვის მაღალი აზრისა იყო ქართულ პოეზიაზე და სწამდა მისი დიდი მომავალი. მან საქვეყნოდ აღიარა ქართველი მწერლების დიდი ტალანტი:

თანამოძმენო, ხალამი თქვენდა!
პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრად,
და არარატმა—როგორც
ლეგენდა —
გული გაიპო თქვენ
შესახვედრად.

დავრჩეთ, ქართველნო, ძმად
და მეგობრად,
შევქმნათ ოჯახი ამხანაგური,
ვის შეუძლია, რომ
გადაგვთელოს,

ეს ჰუმანიზმი, ადამიანის სიყვარული განსაზღვრავს ოვ. თუმანიანის შემოქმედებაში ყველა მოტივს, ბუნების სურათებსაც იმისათვის იყენებს პოეტი, რომ ადამიანებს ერთმანეთი შეაყვაროს (მაგ., ესსათაური ლექსი „მე ვიცქერი წინ").

ძალიან თავისებურად არის თუმანიანის შემოქმედებაში წარმოდგენილი სიყვარულის მოტივი. „იგი როდია ვნებიანი, თავშეკავებული. სიყვარული ცხოვრების უკეთ მოწყობაში უნდა გვშველოდეს. ამიტომ თუ ერთმა დაკარგა ამის უნარი, იგი შეიძლება მეორეში ვიპოვოთ. შემდეგ მესამეშიც. ყოველ შემთხვევაში, ცხოვრებაში ასე ხდება: არ ვიცით რა მოგვივა ჩვენ, მაშასადამე არც ის ვიცით. რა მოუვა ჩვენს სიყვარულს. რადგან ადამიანი დროის სათამაშოდ არის გაჩენილი. მართალია, ცხოვრებაში გვხვდებიან ისე თავდადებული ეს წუხილიც ღრმად აისახა თუმანიანის შემოქმედებაში. მაგრამ ყველაზე სამინელია თოჩქი ფანატიკოსების მხეცობა: აი ტანსაცმელშემოძარცული დედა დგას ადამიანის გვამებთან მოფენილ მაღლობზე და სამოსის ნაფლეთებს ქარი უფრიალებს. ხელში კი თავისი ბავშვის სისხლით სავსე ჭიქას აწვდიან და დაცინვით ეხმაურებენ — კიდევ შესვამ სულლნის სადღეგრძელოს...

შემაზარზეზია!.. ამის მიუხედავად ოვ. თუმანიანს იყო ობიექტურობა ეთქვა, რომ ამ საშინელებათა ჩადენი საერთოდ ხალხი როდია, იგი ბნელი ადამიანების საქმეა. ადამიანის, განსაკუთრებით მშრომელი ადამიანისა გულწრფელად სჯეროდა ოვ. თუმანიანს, სჯეროდა იმიტომ, რომ უყვარდა ადამიანი. ამიტომ იყო, რომ იგი მხოლოდ სიყვარულს ქადაგებდა, ურთიერთ სიყვარულს. ამაში ნამდვილად დაერწმუნოებით. თუ წაიკითხავთ ოვ. თუმანიანის პატარა მოთხრობა „სანაძლეოს".

ეს ჰუმანიზმი, ადამიანის სიყვარული განსაზღვრავს ოვ. თუმანიანის შემოქმედებაში ყველა მოტივს, ბუნების სურათებსაც იმისათვის იყენებს პოეტი, რომ ადამიანებს ერთმანეთი შეაყვაროს (მაგ., ესსათაური ლექსი „მე ვიცქერი წინ").

ძალიან თავისებურად არის თუმანიანის შემოქმედებაში წარმოდგენილი სიყვარულის მოტივი. „იგი როდია ვნებიანი, თავშეკავებული. სიყვარული ცხოვრების უკეთ მოწყობაში უნდა გვშველოდეს. ამიტომ თუ ერთმა დაკარგა ამის უნარი, იგი შეიძლება მეორეში ვიპოვოთ. შემდეგ მესამეშიც. ყოველ შემთხვევაში, ცხოვრებაში ასე ხდება: არ ვიცით რა მოგვივა ჩვენ, მაშასადამე არც ის ვიცით. რა მოუვა ჩვენს სიყვარულს. რადგან ადამიანი დროის სათამაშოდ არის გაჩენილი. მართალია, ცხოვრებაში გვხვდებიან ისე თავდადებული



ქოფუნისტი
ფე-8 გვერდი, უაბათი,
20 სექტემბერი, 1969 წ.

სტუმრად ბათუმში

ბათუმი, 19 სექტემბერი. (საქდესი). ბათუმში ჩამოვიდა საფრანგეთის დელეგაცია, რომელიც რესპუბლიკაში იმყოფება საფრანგეთის დღეებთან დაკავშირებით. დელეგაციას მეთაურობს „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის პრეზიდენტთა საბჭოს წევრი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ლეგრუ. დელეგაციის შემადგენლობაში არიან „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ეროს დეპარტამენტის გაწყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, ამ დეპარტამენტის გენერალური მრჩეველი შ. ალიეესი, ბაიონის ბასკთა მუზეუმის დირექტორი ჟ. არიჩილარი და გამომცემლობა „საფრანგეთის გაერთიანების“ დირექტორი მადლენ ბრონი.

ბათუმის ვოკზალში სტუმრებს დახვდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. უკლება, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კოპლატაძე, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ტაკიძე, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი პოეტი ფ. ხალვაში და სხვები.

ფრანგმა სტუმრებმა დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნავი ადგილები, ბათუმის აკვარიუმი, ლენინის ხანელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი, იყვნენ აჭარის სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკურ ბაღში მწვანე კონცხზე.

ფრანგი მეგობრების პატივსაცემად ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართა აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი.

კინოთეატრ „თბილისში“ დაიწყო ფრანგული კინოფილმების ფესტივალი.

საუკეთესო სიმღერები ლენინზე, საქართველოზე

შეჯამებულია შედეგები დახურული კონკურსისა, რომელიც საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ გამოაცხადა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საუკეთესო სოლო და საგუნდო ნაწარმოებებისათვის.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი ნაწარმოები.

ეროვნულ სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ბალანჩივაძის თავმჯდომარეობით პირველი პრემია მიენიჭა კომპოზიტორ ხ. ნასიძეს საგუნდო ნაწარმოებისათვის „ამ ქვეყნად გაჩნდა ვით გაზაფხული“.

მეორე პრემიები მიენიჭათ კომპოზიტორ რ. ქარუხნიშვილის ნაწარმოებს „კანტატა საქართველოზე“ ბავშვთა გუნდისათვის და კომპოზიტორ ვ. აზარაშვილის ნაწარმოებს „სიმღერა სამშობლოზე“ სოლისტისა და ქალთა გუნდისათვის.

მესამე პრემიები მიიღეს კომპოზიტორმა შ. მილორავამ ნაწარმოებისათვის „ჯაბარდოთ ჩვენი სამშობლო“ (სოლისტისა და გუნდისათვის), კომპოზიტორმა მ. ჩერინაშვილმა სიმღერისათვის „ეს შენ ხარ, ლენინ“ (სოლისტისა და გუნდისათვის), კომპოზიტორმა ლ. კასრაძემ სიმღერისათვის „სამშობლოს გაზაფხული“ (ვოკალური კვარტეტისათვის).

საიუბილეო ზეიმის დღეებში შესრულდება კომპოზიტორების გ. კოკელაძის, შ. მილორავასა და ლ. კასრაძის კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებები. (საქდესი).

ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი“

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელთა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი“, რომლის ინიციატივით ეწყობა ტურისტული მოგზაურობები და ლაშქრობები, შეჯიბრებები თვეზაობასა და ნადირობაში, ტურისტულ ორიენტირებაში. კლუბის მუშაობის პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება მოგზაურობებისა და ექსკურსიების მოწყობა მატარებლებით, ავტობუსებით, გემებითა და თვითმფრინავებით.

საიუბილეო ლენინურ წელს კლუბი ხშირად აწყობს მოგზაურობას ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში.

მასობრივი ტურიზმის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის „ოქროს ჩარდახი“ ამას წინათ დაჯილდოეს ტურიზმის საკავშირო ცენტრალური სახლის დიპლომით.

მცენარეთა გამოფენა

ონი. (საკ. კორ.). მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ახალი ექსპონატებით შეივსო. აქ ამ დღეებში მოეწყო გამოფენა თემაზე — „სამკურნალო მცენარეები“. ექსკურსანტები ინტერესით ეცნობიან რაჭაში გავრცელებულ 50-მდე სამკურნალო მცენარეს.

გამოფენა დიდი მოწონებით სარგებლობს.



შენდება კინო-საკონცერტო...

უკვე გამოიკვეთა ჩვენს დედაქალაქში მუშებისა და ახალი კინო-საკონცერტო დარბაზის კონტურები. საქართველოს ქალაქმომშენებლობის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის მუშაკებმა, რომლებმაც ამ ბოლო დროს არაერთი საინტერესო ნაგებობა შემატეს ჩვენ ქალაქებს, ამ დარბაზის პროექტიც ორიგინალურად გადაწყვიტეს. მართალია, მას მთლიანად ჯერ კიდევ არ შეესმია ხორცი, მაგრამ ჩანს, რომ პროექტის ავტორის ი. ჩხენკელის და პროექტის მთავარი ინჟინრის ვ. იაკუბოვის, კონსტრუქტორ შ. გაგაშვილის ჩანაფიქრს კარგად აუღეს ალღო „მთავართბილმშენის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ვ. კოზაევი) მშენებლებმა; ნაგებობისათვის ზრუნვა არ დაუკლიათ მემონტაჟეებს, მომპირკეთებლებს, რომლებიც ახლა აქ ძირითად სამუშაოებს აწარმოებენ.

— ჩვენმა მშენებლებმა 7 მილიონ მანეთისაზე მეტი სამუშაო შეასრულეს, — თქვა ჩვენთან საუბარში მშენებლობის უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა რ. ტატეოშვილმა, — თერთმეტი ხხვადახხვა ორგანიზაცია გვამარაგებდა საუკეთესო ხარისხის მასალებით. მართალია ერთხანს შეგვაფერხა შიდამოწყობილობის უქონლობამ, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ზემდგომი ორგანოების დახმარებით მშენებლობა კვლავ ჩქარი ტემპით გაჩაღდა და იგი მომავალი წლის ბოლოს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ...

კინო-საკონცერტო დარბაზი ორიგინალური ნაგებობაა. ამ ცხრასართულიან შენობაში მოთავსდება დარბაზი 2500 მაყურებლისათვის, ვესტიბიულები, ბანორამული დერეფნები. გარედან მას პირკეთულიან შენობაში მოთავსებული საუკეთესო მარმარილოსა და გრანიტის ფილებით, დარბაზში უხვად იყენებენ მაგარი ჯიშების ხის მასალასაც.

მშენებელ-მემონტაჟეებს შეჯიბრება გაუჩაღებიათ. ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ რ. მამარდაშვილის მემონტაჟეთა და ვ. გაბიეევის მებეტონეთა კომუნისტური შრომის ბრიგადები. მშენებლები ცდილობენ ზედმიწევნით დაიცვან ზემდგომი ორგანოების მიერ უკანასკნელ ხანს დადგენილი მშენებლობის ვადები, ამასთან აშენონ ხარისხოვნად, მკვიდრად, საშიელაშვილოდ. ყოველი დღე რაღაც ახალ შტრიხს მატებს ამ ორიგინალურ შენობას, რომლის დამთავრებას მოუთმენლად ელიან თბილისელები.

• • •

სურათზე: კინო-საკონცერტო დარბაზის ხედი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ომბრძანდით, გელით!

ოპერისა და ბალეტის თეატრი ახალ სეზონს ხსნის

დღეს, 20 სექტემბერი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ახალი სეზონი იწყება. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დიმიტრი მჭედლიძემ თქვა:

— ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წლევანდელი სეზონი რიგით 119-ე სეზონია.

როგორც ყოველთვის, ჩვენს დარბაზში აკადემიდან ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა. ტრადიციულად „დაისით“ დაიწყება წლევანდელი სეზონი.

წლევანდელი წელი თეატრის მთელი დასის წინაშე აყენებს მეტად რთულ და სერიოზულ ამოცანებს. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თეატრი ჩაბმულია ერთგვარ შეჯიბრებაში, რომელიც გამოიხატება წლევანდელი აფიშის გამრავალფეროვნებაში. რა სიახლეები გველის წინ?

საოპერო ხელოვნების მოყვარულთა წინაშე სულ მალე წარვსდგებით კომპოზიტორ ზალვა შვეიციძის ოპერით „ჯარისკაცის ქვრივთან“. განვაახლებთ ს. პროკოფიევის ოპერას „სემიონ კოტკოს“, ზ. ალიევის „რუსლან და ლიუდმილას“.

საბალეტო ხელოვნების მოყვარულებს წელს ვაჩვენებთ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კომპოზიტორ დ. თორაძის „შვილობისათვის“ და ფ. ლენტის „განთიადს“.

ბავშვებისათვის განზრახული გვაქვს დავდგათ ახალგაზრდა კომპოზიტორის ნ. მამისაშვილის ოპერა „ბაქია ბაქია“.

ჩვენი თეატრის ისტორიაში ერთერთი მნიშვნელოვანი თარიღი იქნება 25 ოქტომბერი. ამ დღეს ქალაქ ქუთაისში გაიხსნება საოპერო თეატრის ფილიალი. ქუთაისელები ნახავენ სპექტაკლებს „აბესალომ და ეთერს“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერს“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“, ო. თაქთაქიშვილის „ბინდიას“, ვ. გოკიელის „წითელქუდას“.

წელს შარშანდელი პროგრამიდან არც ერთი სპექტაკლი არ გამოგვაკლდება და ახალ დადგმებთან ერთად რეპერტუარიც უფრო მრავალფეროვანი გახდება.

გასულ წელს ოპერისა და ბალეტის თეატრმა პირველად თავისი არსებობის ისტორიაში იმოგზაურა საზღვარგარეთ. პოლონეთის ქალაქ ლოძში გასტროლები დაწვრილებით გააშუქა ჩვენმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ. გასტროლების რეზონანსი დიდი იყო ჩვენშიც და უცხოეთშიც. ამან გაბაპირობა ის ამბავი, რომ წელს ვ�litით მეტ გასტროლიორებს, რომლებიც თვითვე აცხადებენ ჩვენი თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობის სურვილს. ლოძის გასტროლების წარმატების გამოძახილად შეიძლება ჩავთვალოთ ახლანდელი მოლაპარაკება ახალი გასტროლების შესახებ უცხოეთში, კერძოდ რუმინეთის ქალაქ კლუჟში და იტალიის ქალაქებში ტრიესტსა და ბოლონიაში.

სეზონის პირველ სპექტაკლებს დაამთხვა პირველივე მნიშვნელოვანი გასტროლები. ჩვენს საოპერო თეატრში შევხვდებით ბერლინის „კომიშე ოპერის“ დირიჟორს ე. სტროკას და შესანიშნავ ლატვიელ ტენორს ვ. ნორეიკას.

მთლიანი საოპერო და საბალეტო დასის საგასტროლო მოგზაურობასთან ერთად ჩვენი თეატრის ცალკეული შემსრულებლები გამოვლენ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის თეატრების სცენაზე. ერთი სიტყვით, დიდი მუშაობა გველის. ჩვენი თეატრის საშემსრულებლო დასი არ დაიშურებს ღონეს და მონდომებას, რათა პირნათლად წარსდგეს წელს საოპერო ხელოვნების მოყვარულთა წინაშე.

გიწვევთ „ვეგობრობა“

ურეკის დასასვენებელი სახლი „მეგობრობა“ კოლმეურნეთა მოწონებით სარგებლობს. 60 ადგილზე გათვალისწინებულ სახლში ყველა ოთახი ორადგილიანია. არის კეთილმოწყობილი სასადილო, სამზარეული. დამსვენებელთა განკარგულებაშია ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, ბიბლიოთეკა, ოთახი წყნარი თამაშებისათვის.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საგასტროლო პოლონეთში

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საესტრადო ორკესტრის კონცერტები დიდი მოწონებით სარგებლობს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, მის ფარგლებს გარეთაც. ანსამბლმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია ინსტიტუტის პროორექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. გ. შიოშვილი, უკვე იმოგზაურა ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ამ დღეებში ინსტიტუტის ანსამბლი 35 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც კონცერტებს გამართავს ვარშავაში, კრაკოვში, კატოვიცში და ზაკოპანეში. ანსამბლის წევრებს შეხვედრები ექნებათ პოლონელ ახალგაზრდობასთან, სტუდენტებთან, პოლონელთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტებთან.

როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა გ. შიოშვილმა გვითხრა, ანსამბლის წევრები საგანგებოდ მოემზადნენ პოლონელ მეგობრებთან შესახვედრად, შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელშიც ქართული, რუსული და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ხალხთა სიმღერებთან ერთად შევიდა პოლონელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ანსამბლის პროგრამაშია აგრეთვე საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სიმღერები.

საპოჭტო

მძლეოსანთა ფორუმზე

ათენი გრძელდება ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. კიდევ ორი ოქროს მედალი შეხვდნენ საბჭოთა გუნდს ვეტერანმა ი. ტერ-ოვანესიანმა და ლუგანსკელმა ვ. სკომოროხოვმა. პირველის ნახტომი—817 სმ — საუკეთესო აღმოჩნდა (ბრინჯაოს მედალიც ჩვენი გუნდის წევრმა ტ. ლეპიკმა მოიპოვა — 804 სმ). ვ. სკომოროხოვი პირველი იყო 400 მეტრზე თარჯრბენში — 49,7 წ.

შეუპოვარი იყო ბრძოლა სხვა სახეობებშიც. ალმაატელი ბ. სოლდატიკოვი 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მესამე იყო, პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს კრისტოფ ხენმ და პეტერ ზელცერმა (ორივე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან). 800 მეტრზე რბენაში ჩემპიონი გახდა მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ლილიან ბოარდი (ინგლისი). ტარტუელი მილდე კაჟე ფინალში ვერ მოხვდა. ფრანგმა მორბენალმა ჟალმა ნიკოლ დიუკლომ ოქროს მედლის მოპოვებასთან ერთად მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 51,7 წ. აღსანიშნავია, რომ დიუკლოს თანამემამულემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა კოლეტ ბეხონმაც ზუსტად ასეთივე დრო აჩვენა და გამარჯვებული მხოლოდ ფოტოფინიშმა გამოავლინა. ვაუთა შორის ამავე დისტანციაზე ჩემპიონი გახდა პოლონელი იან ვერნერი — 45,7 წ. მოსკოველმა ალ. ბრატჩიკოვმა ახალი საკავშირო რეკორდით (45,9) მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. სიმაღლეზე ხტომაში ჭალთათვის, ისევე როგორც მეხიკოს ოლიმპიადაზე, პირველი იყო ჩეხოსლოვაკელი მიროსლავა რეზოვა — 183 სმ. ასეთივე შედეგებით, მაგრამ განმეორებითი ხტომების შემდეგ მეორე ადგილზე გამოვიდა ჩვენი ა. ლაზარევა, ხოლო მესამეზე — ჩეხოსლოვაკელი მარია მრაზკოვა.

„ულალგირისტა“ ქულა დაკარგა

ბაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ტურნირის ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი მატჩები. ვილნიუსის „ალგირისს“ გასვლითი მატჩი ჰქონდა გროზნოში ადგილობრივ „ნემანთან“. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: რიგის „დაუგავა“— ბრესტის „სპარტაკი“ — 0:1, სუმგაითის „ფოლადი“ — ბათუმის „დინამო“ — 2:0, კიროვაბადის „დინამო“ — ტყიბულის „მეშახტე“ — 2:0, ფრუნზეს „ალგა“ — ჩიმკენტის „მეტალურგი“ — 1:1, ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელი“ — ყარაგანდის „მეხტიორი“ — 1:0, დუშანბეს „ენერგეტიკი“ — ნავოის „ზარაფშანი“ — 2:1, ლენინაბადის „პამირი“ — აშხაბადის „სტროიტელი“ — 1:4.

ყველაზე ძნელი მეტოქე

დღეს ფეხბურთელთა „ა“ კლასის პირველ ჯგუფში მორიგი ტურია. თბილისის დინამოელები მიიღებენ მოსკოველ თანაკლუბელებს, ლენინგრადის „ზენიტი“ — ცხკას, ხოლო როსტოველი არმიელები თავიანთ მოედანზე ეთამაშებიან დონეცკის „შახტიორს“.

მოსკოვის „დინამო“ ტრადიციულად ითვლება თბილისელთა უველაზე ძნელ მეტოქედ. როგორიც არ უნდა იყოს მოსკოველთა სატურნირო მდგომარეობა, თბილისელთა წინააღმდეგ ისინი აღმავლობით იბრძვიან.

წლევანდელმა სეზონმა დიდი მღელვარება მოუტანა მოსკოვის „დინამოს“ გულშემატკივრებს. ჯერ იყო და გუნდმა ტრიუმფულად იმოგზაურა იტალიასა და საბჭოთა ამერიკაში, მაგრამ აი დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი და... სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ძლივს გადაურჩა ბოლო ემპეხეულში მოხვედრას.

ახლა კი მოსკოვის „დინამო“ სრული ძალით ითამაშდა და წარმატებით ებრძვის ჩემპიონატის დასკვნითს ნაწილს. მან დიდი ანგარიშით მოიგეს უკანასკნელი შეხვედრები და საპრიზო ადგილისათვის იბრძვიან. თავდასხმას მეტად არგო ვ. კოზლოვის გამოჯანმრთელებამ. მწვრთნელმა კ. ბესკოვმა ნახევარდაცვაში გადაიყვანა ყოფილი გარემარბი ვ. ლარინი, დაცვის ცენტრში დაბრუნა გამოცდილი ვ. ანიჩკინი. გუნდი ფრიად მობილური გახდა. დღევანდელი შეხვედრა დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს.

„კინემატოგრაფიული“ სისწრაფით

მდგომარეობა საკავშირო ჩემპიონატში „კინემატოგრაფიული“ სისწრაფით იცვლება. ჭაბუკმა დინიუტანტებმა ვ. კუპრეიჩიკმა და ვ. ტუმკაკოვმა პირველი გამარჯვება იზეიმეს, იხტიბარს არც უხუცესი მონაწილე ს. ჟუხოვიცკი იტეხს. ჩემპიონატის ახლანდელი შემადგენლობა შარშანდელზე გაცილებით უფრო ძლიერია, უკეთესია პარტიების ხარისხიც.

ხშირად მოჭადრაკეებს ერთმანეთთან საკმაოდ უინაური ურთიერთობა აქვთ. მ. ტალს მეტისმეტად უჭირს თამაში ა. ლუტიკოვთან, ლ. შტეინი თითქმის ყველა პარტიას აგებს ე. გელერთან. მეცხრე ტურში მ. ტალმა და ლ. შტეინმა სცადეს „ურთიერთობის გადასინჯვა“ და, უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებითაც. ა. ლუტიკოვი, შესაძლოა, მოაღწევა რიგელი გროსმაისტერის მარცხიანმა თამაშმა ამ შეჯიბრებაში. ასე იყო თუ ისე, მისი პოზიცია დებიუტიდანვე არასახარბიელო აღმოჩნდა. რამდენიმე მარტივი სვლით მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მეტოქე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მ. ტალის „საქმეებს“ უკეთესობა დაეტყო. ლ. შტეინს ორი ზედმიწევნით ამოცანილი ეკ. ვ. ეკელერთან და ამდენად მოსკოველ გროსმაისტერს დამარცხების საფრთხე მოელის. ეს კია, რომ პოზიცია საკმარისად რთულია და ლ. შტეინსაც დიდი ტაქტიკური დაბრკოლების გადალახვა დასჭირდება. წყნარად და ამავე დროს ენერგიულად თამაშობს ვ. სმისლოვი, რომლის მეტოქე იყო ს. ჟუხოვიცკი. ეს იყო შეჯიბრების უხუცესი მონაწილეების შეხვედრა. დიდხანს პოზიცია თანაბარი იყო, თითქოს ყაიმიც მიახლოვდა, მაგრამ ვ. სმისლოვმა, რომელიც ვირტუოზულად თამაშობს დაბოლოებას, თანდათანობით გამოიყენა მეტოქის თითქოსდა უმნიშვნელო შეცდომები. ახლა გადადებულ პოზიციაში დაფაზე მატერიალური თანასწორობაა, მაგრამ ამის მიუხედავად ს. ჟუხოვიცკის გაუჭირდება პარტიის ხსნა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ვ. სმისლოვს მისაგებ პოზიციაში აქვს გადადებული პარტია მ. ტალთან. ამ ორი პარტიის მოგების შემთხვევაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ერთპიროვნული ლიდერი ხდება. ლ. პოლუგაევსკიმ მეთოდურად მოუგო ვ. გუფელდს, ვ. კუპრეიჩიკმა ჩინებულად სძლია ა. ზაიცევს (რომელმაც მეოთხე რიგითი პარტია წააგო!), ვ. ტუმკაკოვი აზარტულად უტევდა ვ. ვასიუკოვს და საბოლოო ანგარიშში დამარცხება იწვნია. ოთხი შეხვედრა შედარებით წყნარი თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

გუშინ მეათე ტურში ე. ვასიუკოვმა მოუგო ა. ზაიცევს, ა. გიპსლისმა — ა. ლუტიკოვს.

ყაიმით დასრულდა ვ. სმისლოვ-ლ. პოლუგაევსკის, ვ. საკონ-ო. ავერკინის, ვ. კუპრეიჩიკ-ტ. პეტროსიანის, მ. ტალმანოვ-ლ. შტეინისა და ე. გუფელდ-ი. ზაიცევის პარტიები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ბლიცის თასზე

ბერლინში გრძელდება ფრენბურთელთა საერთაშორისო ასპარეზობა „მსოფლიოს თასზე“. მეორე ფინალური შეხვედრა საბჭოთა ნაკრებმა მოუგო ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდს — 3:1.

ტემპერატურა კვლავ დაიწევს

გასული კვირის განმავლობაში მდელ საქართველოში მზიანი, მშრალი, თბილი ამინდი იდგა. გაიხარეს დამსვენებლებმა, ვინც გვიან, სექტემბერში მიაშურა შავზღვისპირეთსა და მოიან კურორტებს. 11-დან 19 სექტემბრამდე დასავლეთ საქართველოში მაქსიმალური ტემპერატურა 28-30 გრადუსი იყო. ასევე თბილოდა აღმოსავლეთ საქართველოში. 18 სექტემბერს კი თბილისსა და გარდაბანში მაქსიმალურმა ტემპერატურამ 31 გრადუსს მიაღწია.

19 სექტემბრიდან საქართველოში წვიმები დაიწყო. წვიმდა თბილისშიც. მაქსიმალური ტემპერატურა ამ დღეს ჩვენს დედაქალაქში 27 გრადუსი იყო. ასევე დაიწია ტემპერატურამ მთელ რესპუბლიკაში.

— რამ გამოიწვია ამინდის ასეთი შეცვლა? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თბილისის ამინდის ბიუროს უფროს სინოპტიკოს ნ. ძამაშვილს.

— ამჟამად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებში ბატონობს ციცი ჰაერის მასები, რომლებიც ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანიდან შემოიჭრა და 20 სექტემბრიდან ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზეც შემოაღწია. ეს პროცესი რამდენიმე დღეს გაგრძელდება და გამოიწვევს ტემპერატურის დაწევას 6-10 გრადუსით.

ამ დღეებში დასავლეთ საქართველოში მაქსიმალური ტემპერატურა მოსალოდნელია 19-22, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 20-25 გრადუსი.

ცივი ჰაერის მასების შემოჭრა გამოიწვევს ნალექებს, ზოგ რაიონში მნიშვნელოვანსაც, დაელჭექს. მდინარე მტკვრის ხეობაში ოქროსებს დასავლეთის ძლიერი ზომიერამდე ქარი (წამში 15-20 მეტრი სიჩქარისა).

თბილისში მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა დღისით 25-27 გრადუსიდან თანდათანობით დაიწევს 18-20 გრადუსამდე.

დღეს თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, ტემპერატურა 25-27 გრადუსი.

ქომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, ბ/მგ. მდივნის — 99-79-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა შენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-69, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93 16 90, წერილების 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93 96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03432

სტ. „ა“ ცკ-ს გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რადიო

21 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — საოპერეტო მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.00 — „პიონერთა დაფიონი“ (მოსკოვი), 11.45 — ზ. სოტკილავას კონცერტი, 12.05 — მუსიკალური რადიოიაფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „ყარა ყარაევი“. 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „სათაფლია“, 15.00 — მეგობრობის ეფსკერტი. ტრანსლაცია ბაქოდან, 15.30 — საუბარი „საბჭოთა პატრიოტიზმის თემა ქართულ პროზაში“, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეგობრებისათვის, 17.15 — მღერის ვოკალური ანსამბლი „დიეფო“, 17.30 — ციკლიდან „მოგითხრობთ კომუნისტებზე“. ნარკვევი „ცხოვრების კარნახით“, 17.45 — ს. ციცაძე. ფრაგმენტები ბალეტ „დემონიდან“, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ 20.30 — გ. რჩეულიშვილი. ინსტრუმენტალური მოთხრობები, 21.30 — პულენკი. ოპერა „ადამიანის ხმა“, 22.50 — ო. გორდელი. საფორტეპიანო სონატინა, 23.30 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

20 სექტემბერი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „ეყავით ბედნიერნი!“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „მეცნიერება — წარმოებას“ — სატელევიზიო ჟურნალი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „ტელეპანორამა“, 12.30 — კინოპროგრამა, 13.00 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში. „ყვავილები პოტსდამიდან“, სატელევიზიო ნარკვევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ვორონეჟიდან) 14.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „მეშვიდე“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 14.40 — კინონარკვევი, 15.00 — „საჭადრაკო ალმანახი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — გადაცემა ციკლიდან „მუსიკალური ოჯახები“ — „მოცრიალე ამბისაძეები“ (6 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 16.00 — ლიტერატურული თეატრი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.45 — ეთერშია ახალგაზრდობა (გადმოცემა კიმინოვიდან), 17.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. 1. ფრანგული ნახატი ფილმი „კლოუნი კარი“, 2. კინოდარბაზი“, 3. „მეგობრობის მელოდიები“, — მუსიკალური პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ თბილისი — „დინამო“ მოსკოვი, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 გადაცემა „სეზონის ბახსნის წინ“, 21.25 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლო!“ — ბოგდანოვიის რაიონი, 21.55 — მხატვრული ფილმი „პატარა ლიდა“ (ქართულ ენაზე). 23.30 — მსოფლიო თასის გათამაშება ფრენბურთში (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ოპერეტები

20 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (სეზონის გახსნა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ვაახნაურებული მდაბიო, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანას ქოშები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე (№ 39 აბონ. საღ. 5 ს. და 30 წ.), ფილარმონიის ბაზაფხულო — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი „ერერო“, კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საფორტეპიანო მუსიკის საღამო — მენრიეტა მირვისის შესრულებით.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.